# ტექნიკური პლატფორმა

**რადიოსადგურის ტექნიკური პლატფორმა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად - ტექნიკური აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა** . ცალკე უნდა განვიხილოთ აუდიოსიგნალის გადამცემ ტრაქტამდე მიტანა და თავად გადამცემი ტრაქტი.

**ტექნიკური აპარატურა** წარმოადგენს აუცილებელ ნაკრებს მაღალხარისხიანი აუდიოსიგნალის მისაღებად, მისი კონვერტაციისა და გაგზავნის მიზნით.ტექნიკის ჩამონათვალი შეგიძლიათ იხილოთ **დანართი 1 .** არ არის გამორიცხული, რომ მომავალში ამ ჩამონათვალმა მცირე კორექტირება განიცადოს უფრო ხარისხიანი პროდუქტის შერჩევის მიზნით

**პლატფორმის პროგრამული უზრუნველყოფა** ავტომატიზირებული სისტემა შერჩეული იქნება დეტალური კვლევის და კონსულტაციის შედეგად, ასევე მისი საიმედოობის გათვალისწინებით. პროგრამული უზრუნველყოფად არჩეულ იქნა: რადიო მაუწყებლობის სფეროში საყოველთაოდ ცნობილი ავტომატიზირებული სისტემა (პროგრამა) **jazler radiostar** რომელიც საშუალებას იძლევა რადიოეთერის ავტომატურ რეჟიმში მართვის, ეთერის ავტომატური პროგრამირების, სარეკლამო ჭრების მოქნილი მენეჯმენტს და გააჩნია მონიტორინგის ფუნქცია..

**აუდიოსიგნალის მიწოდება** გადამცემ ტრაქტამდე განხორციელდება ინტერნეტის ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მეშვეობით, ასეთი გადაწყვეტა უკვე კარგად არის აპრობირებული როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

გარდა ამისა კომპანია აწარმოებს მოლაპარაკებას აზერბაიჯანულ _ კომპანია **azercosmos - სთან** AZERSPACE 1 სატელიტით სიგნალის მიწოდებაზე.

**გადამცემის ტრაქტი - მისი კომპონენტები სრულად დააკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც სპეციფიკაციასა და ადგილმდებარეობას უკავშირდება. დეტალური ინფორმაცია რადიოგადამცემის შესახებ დანართი 2.**

დანართი 1

| ჩამწერი სტუდიის აპარატურა | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | ბრენდი | რაოდენობა | | |
| პულტი | Mackie (ProFx8 USB Mixer) | 1 | | |
| ხმის პროცესორი | Symetrix 628 | 1 | | |
| მიკროფონი | ELECTO VOICE RE320 | 1 | | |
| სატელეფონო ჰიბრიდი | JK Audio | 1 | | |
| ყურსასმენი | Sony MDR 7506 | 2 | | |
| ხმის მონიტორები | Yamaha (HS5) / Alesis / JBL | 1x2 (წყვილი) | | |
| კომპიუტერი | | 1 | | |
| UPS | | 2 | | |

| კომუნიკაცია | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | კომპანია | რაოდენობა | | |
| ინტერნეტი (ოპტიკა) | სილქნეტი, მაგთი | 1x1 | | |
| სატელეფონო კავშირი | სილქნეტი, myphone.ge | 2x4 | | |
| მედია კონვერტორები | | | | |
| ინტერნეტის ინსტალაცია | | | | |

აღსანიშნავია რომ კომპანია როგორც პროდაქშენ სტუდია 2008 წლიდან არსებობს შესაბამისად კომპანია უკვე ფლობს , დანართი 1 -ში ჩამოთვლილ აპარატურას . გამოცდილ პროფესიონალთა გუნდს აპრობირებული აქვს აღნიშნული ტექნიკით და ტექნოლოგიით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება.